ცნობის ფურცელი

№ 2465 სამშაბათი, 13 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2465

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1 აპრილიდან წლის დამლევამდე სურათებიანის დამატებით ღირს 5 მან.

შაბათს, 10 აპრილს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ლადო ალნიაშვილი.

დღეს, 13 აპრილს, საღამოს 7 საათზე გადახდილ იქმნება პანაშვიდი მიხეილის საავადმყოფოში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე. დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

ქვრივი კნეინა ელისაბედ სარდიონ აგიაშვილის ასული მიქელაძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 17 აპრილს, სოფ. კულაშის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის პოლკოვნიკის

თავ. ბარნაბა ტარიელის ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლად. (ნ. 2—1)

შაბათს, 17 აპრილს, ქ. ოზურგეთს, ექადიის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

თავადის გრიგოლ გიორგის ძის ნაკაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი კნეინა ეფროსინე ნიკოლოზის ასული და ძმა თავადი ილარიონ გიორგის ძე ნაკაშიძეები. (1—1)

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა

პატივის-ცემით განაცხადებს, რომ ამა აპრილის თოთხმეტს, საღამოს შვიდს საათზედ, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება ნაცვლად კრებისა, რომელიც ამა წლის 30 მარტს არ შესდგა. (ნ. 1—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკში

სამშაბათს, 13 აპრილს, დიდი სპორტ-წარმოდგენა. სხვათა შორის სამი ჭიდაობა ერთ საღამოს. 1 კავკასიური ბრძოლა ფალავნის ლორინო დოვეტოვისა და ბექაურის შორის. პრემია ვერცხლის საათი. 2. ფალავანს **ცერაძის** და ფალავანს **პონოზოვის** შორის, პრემია ვერცხლის საათი. მესამე ბრძოლა—ჭიდაობის მოყვარულთა, უპრემიოდ. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. ჭიდაობა მოხდება მეორე განყოფილების შემდეგ.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. —11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

მ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

ბრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ...მდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ...ლის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ე ქ ი მ ი

პ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—? საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ...ჯუთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თq.—0—38)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი რეუტ. № 26). (30—5.—30)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „რუს“-ის კორესპონდენტი იწერება პორტ-არტურიდან: ერთის პატარა შეტაკების შემდეგ განსვენებულმა მაკაროვმა სთქვა, იაპონელების ზიანზე არას დავსწერ, რადგან იმათი არც ერთი გემი არც ჩაძირულა, არც დაგვიტყვევებიაო. ამას იქით კი უსათუოდ ან იაპონიის გემები უნდა ჩავძიროთ და დავატყვევოთ, ან ჩვენ თითონ დავიღუპნეთო.

პეტერბურგსა და ბერლინში ხმა გავრცელდა, იაპონელებმა ჯავშნიანი გემი „სევასტოპოლი“ დააზიანეს და პორტ-არტურის უკან რკინის გზის ხიდი დაანგრიესო. ამ ცნობას ოფიციალურად უარ ჰყოფენ. („რ. ლ.“)

გემ „პეტროპავლოვსკ“-ის დაღუპვამ მთელი ქვეყნიერობა აალაპარაკა. ზოგი იაპონელების მცურავ ნაღმს აბრალებს ამ გემის დაღუპვას, ზოგი წყალ ქვეშ მავალ ნავსა.

„მორნინგ პოსტ“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: ერთმა ამერიკელმა აფიცერმა მითხრა, ნამდვილად ვიცი, რომ იაპონელებს წყალ ქვეშ მოსიარულე ნავები აქვთო; ეგაა, აფიცერმა აღარ მითხრა, საიდან იცოდა ეს ამბავიო.

ამერიკულ გაზ. „სინ“-ში სამსახურიდან გადამდგარი აფიცერი სწერს: ერთი ჩვენებური მეზღვაური აფიცერი ომის წინა ხანებში იაპონიას იყო და ერთ ნავთ-სადგურში თავის თვალით ენახა წყალ ქვეშ მავალი ნავიო.

ფრანგული გაზეთები სწერენ: ინგლისური გაზეთები ადრევე ამბობდნენ, მალე მოულოდნელი რამ ამბავი მოხდება ბრძოლის ველზეო. ალბად, ინგლისელებმა იცოდნენ, რომ იაპონელებს წყალ ქვეშ მავალი ნავები აქვთო. („რ. ლ.“).

ამას გარდა გაზეთები სწერენ: ხმა დადის, ვითომ 29 მარტს იაპონელებს ამერიკიდან ოთხი წყალ ქვეშ მავალი ნავი მოუვიდათო. მაგრამ ბევრს არა სჯერა ეს ცნობები და ხმები. ნამდვილად ვიცით, რომ იაპონელებს წყალ-ქვეშ მავალი ნავები არა აქვთო. „პეტროპავლოვსკ“-ი წყალ ქვეშ მავალმა ნავმა კი არა, იაპონელების მცურავმა ნაღმმა ააფეთქაო. ადმირალი ტოგო პირდაპირა სწერს თავის მოხსენებაში, „პეტროპავლოვსკ“-ი ჩვენგან ჩადებულ ნაღმს მოჰხვდაო. ტოგო-კი ყოველთვის მართალსა სწერს თავის მოხსენებაშიო.

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: ჩვენი ფლოტი მეტად ძლიერ ნაღმებს ხმარობსო. ეს ნაღმები ჩვენებურ აფიცრის შიმოზეს მოგონილ ნივთიერებისაგანაა მომზადებულიო. შიმოზეს წამალი მელინიტსა, ლიდიტსა და დინამიტს გაცილებით სჯობია თავის ძალითაო. („მ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება ნაგასაკიდან: ადმირალი კამიმურა ძლიერის ესკადრით ვლადივოსტოკს ჰდარაჯობს და მოკლე ხანში უსათუოდ დაეცემა ვლადივოსტოკის ესკადრასაო. ვლადივოსტოკში 4 კრეისერია: „რიურიკ“-ი, „გრომობოი“, „როსია“ და „ბოგატირ“-ი და 1 სატრანსპორტო გემი „ლენა“. („ნ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: იაპონელები მალე ვლადივოსტოკს ახლოც ჯარს გადაიყვანენ და ალყას შემოარტყამენო. ვლადივოსტოკს რომ აიღებენ, რკინის გზას გაჰყვებიან და დასავლეთისაკენ წავლენ. ამავე დროს იაპონიის მეორე ჯარი პორტ-არტურს აიღებს, რკინის გზის პირ-პირ ჩრდილოეთისაკენ წავა და ვლადივოსტოკიდან წამოსულ ჯარს ხარბინში შეეყრება. ვლადივოსტოკზე დასაცემად იაპონელები ბეჯითად ემზადებიანო. („რ.“).

„ტაიმს“-ს ატყობინებენ დეპეშით: იაპონელებმა ჩულანში, იჩჟუდან 40 მილის მანძილზე უკანასკნელ კვირის განმავლობაში ორი დივიზია ჯარი გადაიყვანეს. იაპონიის უმთავრესი ჯარი იჩჟუს ახლო იკრიბება. კორეიაშიაც მრავალ სიმაგრეს აშენებენ, ყველაზე მეტად მოზამპოს ამაგრებენ. კორეის რკინის გზას საოცარის სისწრაფით აშენებენ. რკინის გზის ბოლოში, ფუზანში 8 დიდი ფორტი ააშენეს. („რ. ლ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „აქაური სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, იაპონელები უსათუოდ კინჩაუში გადაიყვანენ ჯარს და პორტ-არტურს გზას შეუკრავენო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელი ჰფიქრობს, იაპონელები ნიუჩუანში ჯარს არ გადაიყვანენო. სამხედრო წრეები მეტად გაკვირვებულნი არიან, რატომ იაპონელები იალუზე არ გადადიანო“.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: ამ ჟამად იაპონელებს კორეიაში 200 ათასამდე ჯარის-კაცი ჰყავთო. („მ. ვ.“).

ფრანგულ გაზ. „ტან“-ის თანამშრომელი ჰფიქრობს, იაპონელებს ამ ჟამად მდინარე იალუზე 80 ათასი ჯარის-კაცი ჰყავთო. („რ. ლ.“).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: მდინარე იალუზე 31 მარტს რუსისა და იაპონიის სადარაჯო რაზმებს შეტაკება მოუვიდათ და იაპონელებმა 22 რუსი მოჰკლესო. ხმა დადის, იალუზე მრავალი პატარ-პატარა შეტაკება ხდებაო. („რ. ლ.“).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: რუსის სამხედრო მოხელეების ნებართვით ნიუჩუანში რუსების ბანაკი დავათვალიერეო. ქალაქის გარშემო რუსებს სიმაგრეები აუშენებიათ და ზედ ზარბაზნები დაუწყვიათ, ორი ფორტიც გაუმართავთ და მდინარე ლიაოხეს აღმოსავლეთით ორ პირად სანგრები ამოუყვანიათ. რკინის გზის სადგურთანაც არტილერია დგას; რამდენიმე ბატარეა ჩინელების უბანშიაც დაუდგამთ. არტილერიასთან ყველგან ქვეითა ჯარიცა დგასო.

გერმანული გაზეთები იუწყებიან: რუსებმა ნიუჩუანიდან ფულისა და სანოვაგის გარედ გატანა ყველას აუკრძალესო. („რ. ლ.“).

ბრძოლა პორტ-არტურთან 31 მარტს. „ტაიმს“-ის საგანგებო კორესპონდენტი 31 მარტს თავის გემ „ჰაიმან“-ით პორტ-არტურს ახლო ყოფილა, რუსეთისა და იაპონიის ფლოტის ბრძოლა თავის თვალით უნახავს და იმ წამსვე დეპეშა გაუგზავნია ლონდონს. კორესპონდენტი სწერს: „იაპონიის ნაღმიანმა გემებმა დღეს დილით ადრე იერიში მიიტანეს პორტ-არტურზე. იაპონიის ფლოტმა ზარბაზნები დაუშინა პორტ-არტურს. სროლა დილის 9 საათსა და 45 წ. დაიწყო.

ნაშუადღევის 2 ს. დღეს დილის 4 საათ. 30 წ. დავინახე, რომ ჩემის გემისაკენ სამხედრო გემები წამოვიდნენ. როცა ინათა, გავარჩიეთ, რომ ეს იაპონიის ფლოტი იყო; გემები ერთმანეთს რიგზე მისდევდნენ; წინ 6 დიდი ჯავშნიანი გემი მიდიოდა, თავში „მიკაზა“ (ადმირალ ტოგოს გემია) მიუძღოდათ. ჯავშნიან გემებს 1 რანგის კრეისერები მისდევდნენ, ყველაზე უკან კრეისერები „კასუგა“ და „ნისინ“-ი მიდიოდნენ. ფლოტი „მიკაზა“-ს წინამძღოლობით პორტ-არტურისაკენ გაემართა. 40 მილის მანძილზე რომ მიატანეს, ჯავშნიანი გემები უცებ ძალზე გაქანდნენ; „კასუგა“ და „ნისინი“-ც კრეისერებს მოჰშორდნენ და დიდ ჯავშნიან გემებს შეუერთდნენ. სხვა კრეისერები უკან დარჩნენ. ნაღმიან გემების დივიზია და ერთი სადარაჯო გემი შუაში ჩადგნენ. ჩვენი გემი პორტ-არტურს რომ მიუახლოვდა, დავინახეთ, რომ პორტ-არტურს ახლო 2 პირველ რანგის კრეისერი და 4 მეორე რანგისა რეიდს ახლო იდგნენ და ნაღმიან გემებს ეხმარებოდნენ. ჯავშნიანმა გემებმა ბრძოლის ბაირაღები გაშალეს და „მიკაზა“-ს წინამძღოლობით პორტ-არტურს 6 მილის მანძილზე მიუახლოვდნენ.

დილის 10 საათსა და 20 წუთზე რუსის სანაპირო ბატარეებმა ზარბაზანი დაუშინეს იაპონიის ფლოტს, მაგრამ როგორღაც მძიმე მძიმედ, თითქო უხალისოდ ისროდნენ.

იაპონიის ესკადრამ სამჯერ გაუარ-გამოუარა გაქანებულმა რუსის გემებს და მერე სამხრეთისაკენ წავიდა. მშვენიერი სანახავი იყო იაპონიის ძლიერი ესკადრა. ჯავშნიანი გემები გაბედულად ახლო მიდიოდნენ რუსის პოზიციებთან, პატარა გემები-კი უფრო მოშორებით იდგნენ. ჩემს გემს ახლო ერთი ყუმბარა დაეცა, წყალში იფეთქა, მაგრამ არა დაგვიშავა-რა. იაპონიის ფლოტი დურბინდით გავსინჯე და დავრწმუნდი, რომ არც ერთი გემი არ დაზიანებულიყო. ადმირალ ტოგოს ამ ბრძოლის დროს 40 გემი ჰყავდა, ნაღმიანი გემებიც რომ ვიანგარიშოთ.“

ამავე ბრძოლის თაობაზე „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტი იუწყება ვეი-ჰაი-ვეიდან: 31 მარტს ვეი-ჰაი-ვეიში ინგლისის კანონირი გემი მოვიდა ნიუჩუანიდან და გვიამბო: დილის 5 საათსა და 45 წ. დავინახე, რომ იაპონელების 5 სამხედრო გემი რუსის კრეისერს „ბაიან“-ს ებრძოდა; „ბაიან“-ი პორტ-არტურისაკენ მიდიოდა. „ბაიან“-ის საშველად „ასკოლდ“-ი და კიდევ ერთი სხვა კრეისერი გამოვიდნენ. 6 ს. 45 წ. რუსის გემები სანაპირო ბატარეებს მიუახლოვდნენ. მგონია, რომ „ბაიან“-ი ძლიერ იყო დაზიანებული. 8 ს. იაპონიის ესკადრამ ზარბაზანი დაუშინა პორტ-არტურს, რუსის ფორტებმა პასუხი არ გასცეს. სროლის შემდეგ იაპონელები აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ.

იტალიურ სააგენტო „აგენცია ლიბერა“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: „31 მარტი. დღეს დილით ადმირალი მაკაროვი მთელის თავის ესკადრით გამოვიდა პორტ-არტურიდან. იაპონიის ფლოტი მიაოდაოს კუნძულებთან (პორტ-არტურის სამხრეთ-ითაა) იყო დამალული, უცებ გამოვიდა და რუსის ესკადრას დაეცა. ადმირალმა მაკაროვმა დაინახა, რომ მახეში გაება, ისევ პორტ-არტურისაკენ გაბრუნდა, მაგრამ იაპონიის ესკადრამ გზა შეუკრა და შეებრძოლა. ბრძოლა მეტად სამწუხაროდ გათავდა რუსებისათვის: იაპონელების ნაღმმა ჯავშნიანი გემი „პეტროპავლოვსკ“-ი ჩაძირა და ჯავშნიანი გემი „პობედა“ ძლიერ დააზიანა. ამას გარდა რუსებს სხვა გემებიც დაუზიანდათ. („პ. ვ.“).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი სწერს: იაპონელებმა ბრძოლის წინა ღამეს ნაღმების ჩამწყობი გემი „კორიომარუ“ გაგზავნეს პორტ-არტურის რეიდზე; თან ნაღმის მსროლელი გემებიც გააყოლეს. „კორიომარუ“ რეიდზე მივიდა, იქ ნაღმები ჩააწყო და უვნებლად დაბრუნდა. თუმცა რუსები რეიდს მუდამ ბეჯითად ათვალიერებდნენ რეფლექტორებით, მაინც გემი „კორიომარუ“ ვერ შეამჩნიეს და ვერ გაიგეს, რომ ამ გემმა რეიდზე ნაღმები ჩააწყო. მეორე დილას სწორედ ამ ნაღმმა ააფეთქა და დაღუპა გემი „პეტროპავლოვსკ“-ი. („რ. ლ.“).

ამ ბრძოლის დროს რუსებს გემ „პეტროპავლოვსკ“-სა და „სტრაშნი“-ზე 710 აფიცერი და მატროსი დაეღუპათ და 30 დაუჭრეს. („რ. ვ.“).

იაპონელებს რუსის გემების დაღუპვა ძლიერ გაუხარდათ. იაპონიის საზღვაო მინისტრმა ბარონ იამამოტამ 31 მარტის ბრძოლის შემდეგ ასეთი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ადმირალ ტოგოს: „სახელოვან გამარჯვებას გილოცავთ ყველას, აფიცრებსა და მატროსებს. ჩვენი ფლოტი სამაგალითოდ იქცევა; იმედი გვაქვს, ამას იქითაც ასეთისავე ერთგულებითა და თავდადებით შეასრულებს თავის მოვალეობას. ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა გვიდევს წინ“.

სახელოვან ადმირალ მაკაროვისა და რუსის მეზღვაურების დაღუპვა-კი ძლიერა სწყენიათ იაპონელებს.

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის მეზღვაური აფიცრები ძლიერ სწუხან, რომ „პეტროპავლოვსკ“-ის მეზღვაურებს დახმარება ვერ გავუწიეთ და დაღუპვას ვერ გადავარჩინეთო. „პეტროპავლოვსკ“-ის დაღუპვის დროს დიდი ქარი ჰქროდა სამხრეთიდან, ამიტომ საშველად რომ ნავები გაგვეგზავნა, უკან ვეღარ დაბრუნდებოდნენო.

„დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ კობედან (იაპონიიდან): ადმირალ მაკაროვის დაღუპვამ ძლიერ შეაწუხა იაპონიის ხალხი. ქალ. ნოგაში წარსულ პარასკევს დიდი პროცესია გამართეს განსვენებულ ადმირალისა და სხვა დაღუპულ რუსის მეზღვაურთა პატივსაცემლად. ხალხს მრავალი, ათასზე მეტი, თეთრი ფანარი (თეთრი ფერი—გლოვის ფერი იაპონიაში) მიჰქონდა. პროცესიის წინ ბაირაღები მიჰქონდათ ზედ-წარწერით: „მამაც რუსის ადმირალის დაღუპვამ ძლიერ დაგვაღონა.“ მუსიკაც სამგლოვიარო მოტივებს უკრავდა. („რ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ „**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ**“ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ამ საზოგადოების ბიბლიოთეკებს (ვერისა და ნაძალადევისას) მიენიჭოთ საჯარო ბიბლიოთეკების უფლებანი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო „**ქ. შ. წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოებას“ ტფილისის საკრებულოს საზაფხულო სადგომში გამართოს საქველმოქმედო ბაზარი.

◆ 11 აპრილს **ბათუმში** მოხდა გაგრძელება ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრებისა. თავმჯდომარედ ამოურჩევიათ ისევ ბ-ნი შპოლიანსკი, საბჭოს წევრებად თავ. ი. ანდრონიკაშვილი და ექიმი ელიავა.

◆ როგორც „ნოვ. ვრემია“-ს გაუგია (№ 10090), ინგლისელებს აუღიათ კონცესია **ბათუმიდან ართვინამდე** რკინის გზის გასაყვანად. სიგრძე გზისა 93 ვერსი იქნება. ბორხჩიდან ძანსულამდე შტოს გაიყვანენ. ამას გარდა დანიელებს, რომელთაც კამერჰერ ალექსანდროვსკისაგან უყიდნიათ ტყე ქუთაისიდან 30 ვერსის მანძილზე, განუზრახავთ დიდ ხე-ტყის სახერხავ ქარხნის დაარსება. დანიელ კაპიტალისტთა წარმომადგენელი უკვე ჩასულა ქათაისში.

◆ **ხარკოვიდან გვწერენ:** შორეულ-აღმოსავლეთის ომის გამო სახელმწიფო ეგზამენები სამკურნალო ფაკულტეტზე შემოდგომის მაგიერ მოხდება აპრილსა და მაისში. წელს აქ ამ ფაკულტეტს ცხრა კაცი ათავებს. მგონი, პირველი მაგალითია, რომ ხარკოვის უნივერსიტეტში ერთ ფაკულტეტზე ამდენ ქართველს ერთად გაეთავებინოს კურსი. აი ამათი გვარები: ივანე ჯაფარიძე, ილია ანდრონიკაშვილი, კილოსანიძე, დავით ჯაფარიძე, ვ. ლორთქიფანიძე, კიზირია, ალ. სავანელი, კოსტანოვი, ალშიბაია.

◆ ახალციხის მაზრის უფროსმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება დართოს **ქალაქ ახალციხეში** შემოიღოს მეეზოვეთა ინსტიტუტი.

◆ **თელავიდან მივიღეთ** 5 მან. 41 კაპ. ეს ფული შემოსულა იმ საყმაწვილო წარმოდგენიდან, რომელიც შვიდ ბავშვს გაუმართავს ომში დაჭრილთა სასარგებლოდ. ბავშვები 6—10 წლისანი ყოფილან. წარმოუდგენიათ ბ-ნ გამყრელიძის პიესა „ანცი შეგირდი“. შემდეგ დივერტისმენტი გაუმართავთ. ჩვენის რედაქციის მიერ მიღებული ფული დანიშნულებისამებრ გადაეცემა.

◆ **კახეთი.** 31 აპრილს თოვლი მოვიდა. ხან-გამოშვებით თოვდა 4 და 5 აპრილს. მინდვრად სამი დღე გასძლო თოვლმა, ტყესა და ჭალაში ისევა ძევს. პირუტყვის საჭმელი ზოგიერთ სოფელში სულ აღარ იყო. თოვლმა ძალიან გააჭირვა საქმე. ზოგგან სხვა და სხვა სამეურნეო შენობებს ჩალა მოჰხადეს საქონლის საკვებად. ამასთან ძალიან სიცივეები დაიჭირა. დათოვლილია სიღნაღისა, თელავისა, თიანეთის მაზრებისა და ლაგოდეხის ოლქი. გამოსულ ხეხილს დიდად დააზიანებს, ნამეტნავად სიღნაღის მაზრასა და ლაგოდეხის ოლქში.

◆ ტფილისის **მოქალაქეთა** მამასახლის კანდიდატმა დანდუროვმა უკვე ჩაიბარა ს ქმეები ბულდანოვისაგან და შეუდგა სამს ხურის ასრულებას. ხვალისთვის დანიშ ლია კრება დეპუტატებისა.

◆ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთ გამგე კომისიას 10 აპრილს წარედგინა ქა ლაქის გამგეობის მიწერილობა ნ. ი. შ ევის მიერ ნაანდერძევ თანხით სასოფლ სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შე სახებ ტფილისსა ან ტფილისის მაზრაში. ეს საგანი კომისიას ამ რამდენისამე ხნის წი ნად განუხილავს და დაუდგენია, შიოევის თანხით სტიპენდიები ტფილისიდან ევროპაში მეურნეობის შესასწავლად ახალ გაზრდობის გასაგზავნად დაინიშნოს.

◆ ამას წინად „ნოვ. ობოზრ.“-დან გადმობეჭდილი გვქონდა, რომ 34 ჭიათურელ მუშ საქმის გარჩევის დროს ქუთაისის ოლქის სასამართლოში ბრალდებულთ, სხვათა შორის, იცავდა „გორელი კერძო ვექილი გ. დ. დოლიძე“-ო. როგორც ეხლა გვატყობინებენ, ბრალდებულ იცავდა ქუთაისის სასამართლო ოლქის კერძ ვექილი ბარნაბა მიზარბეგის ძე დოლიძე დ არა გორელი გ. დ. დოლიძე.

◆ 11 აპრილს, ღამე, მიხეილის ქუჩაზე, თ ბებუთოვის სახლის სახურავში აპარულა სამი ქურდი, რომელთაც აუჭრიათ ჭერში ადგილი, შემდეგ ჩაუ კიდნიათ თოკის კიბე და ჩასულან. ქურდებს შეუხვ ვიათ, რაც წაღების ღირსად უცვნიათ. მერე უნახავთ რკინის ყუთი ფულისა და დაუწყიათ იმისი ტეხა, მაგრამ ხმაურობა გაუგია მეეზოვეს და პოლიციე ლებთან ერთად ქურდები იქვე დაუჭერია. ქურდებ გამოდგნენ ტფილისის მცხოვრებნი პეტრე ივანოვ ანდრია ოქროპირიძე და ფილიპე ჩალოევი.

◆ 10 აპრილს „პუშკინის სასტუმროს“ ერთ ნომერში სპარსეთის ქვეშევრდომის ყულალი-ჰაჯი ალი-ოღლისთვის ვიღაც ქურდებს ჩემოდნიდან 80 მან. მოუპარავთ. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს და და აპატიმრეს დაღესტნის ოლქის მცხოვრები კომისიო ნერი ალალარ-საიდ-ოღლი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 10 აპრილ განიხილა მოხსენება თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ქუჩების გამნათელ აგენტის ჩაჩიკიანის მოქმედები შესახებ. გამგეობამ შეუძლებლად სცნო ჩაჩიკიანი სამსახურის განგრძობა და დაადგინა, დაითხოვოს იგი. გამგეობამ დაავალა ჩაჩიკიანს, 7 დღის განმავ ლობაში ჩააბაროს წყლის მილების გამკეთებელ სა ხელოსნოს გამგეს ლალაიანცს იარაღები.

◆ ტფილისის საყასპოს ადმინისტრაციამ შეატ ბინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რადგან მამ სოფლის მცხოვრებნი ითვისებენ ქალაქის მიწებს, ნება მიეცეს საყასპოს ეზოს გასაფართოებლად 1200 საჟენ ოთხ-კუთხი მიწა ქალაქისა შემოიღობოსო.

◆ მეორე თუმანოვისა და თამარას ქუჩების მცხოვ რებთ გუშინ სთხოვეს ქალაქის გამგეობას, მოკირ წლოს ეს ქუჩები.

◆ როგორც სოფ. ჯავიდან (ცხინვალის საზოგ ულო) გვატყობინებენ, ჯავის სოფლის სამმართვე ლოს სატუსაღოს, სადაც დამწყვდეული იყო სოფ

ფელეტონი

მამულიშვილობა და მეცნიერება

(გაგრძელება*)

„მკითხველი კარგად იცნობს, ბრძანებს შემდეგ ბ. გოგებაშვილი, საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკების კრებულს, რომელსაც ჰქვიან მშვენიერი სახელი: „სიბრძნე-სიცრუისა“. დღემდინ ამ თავისებურს თხზულებას ქართველის ნიჭის ნაწარმოებად სთვლიდნენ — უცხოელნიცა და ქართველებიცა მისს სრულს თავისებურობაში არავის ეჭვი არ შეუტანია. ჩვენმა ურწმუნო თომა-პროფესორმა კი არც აცივა, არც აცხელა და ერთს თავისს თხზულებაში გაატარა ის აზრი, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ ნასესხი, თარგმანი უნდა იყოს მეტ-ნაკლებობითა, რად უნდა იყოს, რა საბუთით, რა მოსაზრებით, ამაზე იგი კრინტსაც არა სძრავს“. (ბურჯი ეროვ. გვ. 51—52).

პრ. მარრს არც ერთი თხზულება არა აქვს დაწერილი, სადაც „სიბრძნე სიცრუის“ არაკებს ეხებოდეს სპეციალურად; მას 20 სტრიქონი აქვს შეტანილი თავის გამოკვლევაში „Сборникъ притчъ Вардана“ (часть I, გვ. 516), სადაც იგი გაკვრით ლაპარაკობს ამ საგანზე, იმიტომ, რომ „სიბრძნე სიცრუის“ წიგნში ისეთი არაკები აღმოჩნდა, რომელნიც სხვა ერთა კრებულებშიაც მოიპოვება. ბ. გოგებაშვილს ეტყობა პრ. ა. ცაგარელის წიგნი «Книга мудрости и лжи» (переводъ и объясненія, Петерб. 1878 г.) წაკითხული არა ჰქონია, თორემ როგორ იტყოდა „სიბრძნე სიცრუის“ არაკების სრულს თავისებურობაში არავის ეჭვი არ შეუტანიაო. თვით პრ. ცაგარელს თერთმეტი არაკის შესახებ ცნობები შეკრებილი და მოყვანილი აქვს, რომ ისინი ან ანვარი სოჰეილიში, ან პანჩატანტრაში, ან 1001 ღამის ზღაპრებში, ან ეზოპის იგავების კრებულში მოიპოვებიან 1). არც პრ. ცაგარელს გადაუწყვეტია საბოლოოდ, თუ რომელი იგავი უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ქართულად, რომელი უცხოეთის მწერლებიდან შემოტანილად; იგი სწერდა: „ამ ფრიად საინტერესო და დიდმნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტა, ორიგინალური და ადგილობრივია, თუ არა „სიბრძნე სიცრუის“ წიგნში შეტანილი არაკები, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მათ სხვა ეროვნებათა ამგვარსავე პოეტურ ნაწარმოებებს შევადარებთ. ეს კი მსოფლიო მწერლობის ისტორიის მცოდნე პირთა საქმეა, ან უფრო რომ ამ მეცნიერთა საქმე, რომელნიც სპეციალურად ზღაპრებსა და იგავებს იკვლევენ“ 2).

მართალია, თუმცა შემდეგ პრ. ცაგარელი ამბობს, რამდენადაც მე შევატყე საბას თხზულებაში უცხო ხალხთა იგავ-არაკების კრებულებიდან ცოტა რამ უნდა იყოს შეტანილიო და ამის გამო „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი ზემო აღნიშნულ კრებულებიდან, მგონი, არც გადმოთარგმნილი, არც მიბაძვით გადაკეთებული უნდა იყოს, რომ იგი ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოსო (ibid. გვ. XI), მაგრამ იქვე ფრთხილად უმატებს: „რასაკვირველია, შესაძლებელია იგი (ესე იგი სიბრძნე-სიცრუის წიგნი) ისეთ რომელიმე წყაროდან ყოფილიყოს ამოღებული, რომელიც ჯერ აღმოჩენილი არაა; იქნება მისი პროტოტიპი ოდესმე თვით ქართულ მწერლობაში აღმოჩნდეს. 3) როგორც მკითხველი დაინახავს, პრ. ცაგარელი გადაჭრილს და საბოლოოს არას ამბობს; უფრო სამართლიანად მას შემდეგი მოსაზრება მიაჩნია: „მე მგონია, ამბობს იგი, ჭკვასთან უფრო ახლოა (უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ) ვიფიქროთ, რომ (სიბრძნე-სიცრუის) წიგნის გეგმა თვით ავტორს ეკუთვნის; იგავების, ზღაპრების და არაკების უმთავრესი (საპატიო, საკმაო) ნაწილი-კი ხალხისაგან არის შეთვისებული. საქართველოს ყველა კუ თხეებში ხალხი ეხლაც მოგვითხრობს ამ ზღაპრებს,—უფრო შესაძლებელია საბას აელო ხალხიდან, ვიდრე „სიბრძნე-სიცრუის“ ხელთ-ნაწე წიგნებიდან ხალხში გავრცელებულიყო. დასასრულ ის იგავ-არაკები, რომელთაც თვალ-საჩინო მსგავსება აქვთ სხვა ერთა მოთხრობებთან, (უცხო წ ბისაგან) შეთვისებული იყოს 4). მკითხველი ინახავდა, რომ პრ. ცაგარელი საბა ორბელიან მარტო „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნის გეგმ აკუთვნებს, იგავები ავტორს ხალხში გაგონი ექნება და შეგროვილიო; ამ იგავ-არაკების მ რის პრ. ცაგარელის აზრისამებრ უცხო ხალხ თქმულებებიც უნდა იყოს შერეული. მერე გ პრ. მარრი ამტკიცებდა როდისმე, რომ გეგმ ბა ორბელიანს არ ეკუთვნისო? არც როდის! პრ. მარრი სწერდა მხოლოდ: „სასურველია უ რო მტკიცე აზრი დამყარდეს ზემო აღნიშნულ ქართულ ძეგლის (Памятника) წყაროების შე ხებო.“ 5). პრ. მარრი მხოლოდ ერთ პრ.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2430.

1) აი თვით პრ. ცაგარელის სიტყვები 7 არაკის შესახებ: „сравни съ сказкой „въ 1001 ночи“... сходны нетолько въ основномъ мотивѣ, но и въ подробностяхъ“, 22-ის შესახებ „ср. Pantschatutra (прим. № 25), 43 არაკის შესახებ „нѣчто въ этомъ родѣ повѣствуется въ“ 1001 ночи“ (прим. 53), 66 არაკის შესახებ „ср. Панчататра“ (прим. 61), 62 არაკის შესახებ „Встрѣчается у Эзопа, въ Панчатантрѣ“ (прим. 66), 71 არაკის შესახებ „Эзоповская басня“ (прим. 73), 111 არაკის შესახებ „Этотъ разсказъ имѣетъ поразительное сходство, за исключеніемъ незначительныхъ подробностей съ однимъ разсказомъ Синдабадова цикла въ 1001 ночи„ (прим. 99), 120 არაკის შესახებ „ср. Анвари—Сох...у Эзоп...въ Панчатантрѣ“ (прим. 105), 132 არაკის შესახებ „Весьма распространенная басня. сравн. „Кули“ Индѣйскія сказки и легенди, собр. И. П. Минаевымъ...“ (прим. 111). 135 არაკის შესახებ „ср. Индѣйскія сказки и проч. И. П. Минаева“ (прим.), 160 არაკის შესახებ „нѣчто подобное и въ Nitopades't“ (прим. 119).

2) „Вопросъ о томъ насколько оригинальны и туземны разсказы, входящіе въ составъ кн, Мудрости и лжи—вопросъ столь интересный и важный, можетъ быть разрѣшенъ посредствомъ сравненія ихъ съ этого рода поэтическими произведеніями другихъ народовъ; это дѣло спеціалистовъ и исторіи Всеобщей Литеритуры, или даже спеціально занимающихся отдѣломъ сказокъ и басенъ этой науки“. (Ал. Цагарели. книга Мудростиилжи. 1878 г. გვ. X).

3) „Конечно, это не исключаетъ возможности, что она заимствована изъ какого нибудь другого источника, быть можетъ еще неизвѣстнаго, а можетъ быть ея прототипъ найдется со временемъ въ самой грузинской литературѣ“ (ibid გვ. XI).

4) „Мнѣ кажется, скорѣе слѣдуетъ допустить, что планъ книги принадлежитъ самому автору; заключительная же часть басенъ, сказокъ, анекдотовъ заимствована изъ устъ народа, который разсказываетъ ихъ и теперь во всѣхъ закоулкахъ Грузіи, куда едва-ли они перешли изъ рукописныхъ экземпляровъ кн. Мудрости Лжи, а ско рѣе обратно. Наконецъ, тѣ разсказ торые представляютъ очевидную ана съ разсказами другихъ народовъ, мог быть заимствованы“. (ibib. XI).

5) „Прежде тѣмъ пользоваться для слич нія въ научныхъ цѣляхъ баснями изъ книги Мірской Мудрости, желательно бы установить болѣе прочный взглядъ на источники названнаго Грузинскаго памятника (Сборники притчъ Вардана, часть 1, 51 прим. 2).

ოდონატის მცხოვრები ქალი მუშკაია ტეხაშვილი, აცა ასამდის კაცი და ძალით გაანთავისუფლა.

◆ ილავიდან გვატყობინებენ, რომ იქ ლომიძის ქანში გიგო სესიკაშვილს და პოლიციელებს სარის ავეტიკოვს და კოტე ხალილაშვილს ჩხუბი მოსვლიათ. ჩხუბის დროს სესიკაშვილი რევოლვერით დაუჭრიათ.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ კიდევ ერთი ნიმუში ბ-ნ ს. ბ. თოფურიას ენერგიისა. ახლა ხან იმან მიიღო გერმანიიდან დაბარებული გაუმჯობესებულ სისტემის აპარატი რენტგენის სხივებისა, რომლის შემწეობითაც სინჯავს ავადმყოფებს. 9 აპრილს იმის საავადმყოფოში მოხდა ქუთათურ სამკურნალო საზოგადოების მორიგი კრება. კრებამ მთელი სხდომა მოანდომა აპარატის სინჯვას. ექიმმა ტერტეროვმა აუწერა საზოგადოებას აპარატის მოწყობილობა, იმისი მნიშვნელობა მედიცინაში და აჩვენა, თუ როგორ უნდა ხმარება. აპარატის საშუალებით გასინჯეს ორი კაცი. ერთი თუმცა პერანგ გახდილი იყო, მაგრამ სხივებმა იმის სხეულში ხეირიანად მაინც ვერ გაატანა და ეკრანზე მკრთალი სახე აღინიშნა. ეს იმის მიზეზი იყო, რომ მსუქან სხეულს სხივები კარგად ვერ ატანს. მეორე ტანისამოსიანად გასინჯეს, მაგრამ ეკრანზე ყველაფერი მშვენივრად გამოჩნდა: ხელის ჩონჩხი, გულის ფიცარი, თირკმლები, გულისა და ფილტვების მოძრაობა და სხ. დამსწრეთ აჩვენეს აგრეთვე რენტგენის სხივებით გასინჯულ ხელის ჩონჩხის ფოტოგრაფიული სურათი, სადაც ნათლად მოსჩანს ნემსის ნატეხი. აპარატის საშუალებით შეიძლება გაისინჯოს მწოლიარე ავადმყოფიც, ლოგინიდან დაუძრელად. მთელის აპარატის გამართვა ბ-ნ თოფურიას 4000 მანეთად დასჯდომია. ეს აპარატი დიდს სამსახურს გაუწევს ავადმყოფებს.

◆ 23 აპრილს კნეინა ე. მიქელაძის გამგეობით ქალაქის ბაღში გაიმართება სეირნობა ებრაელთა პირველ დაწყებით სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. ორი წელიწადია, რაც ხსენებული სასწავლებელი არსებობს. პირველად მდიდარი ებრაელები დიდის თანაგრძნობით მოეკიდნენ სასწავლებლის საქმეს, მაგრამ შემდეგ იმათი აღფრთოვანება, საუბედუროდ, ძლიერ შენელდა. სასწავლებელს კი დიდი სარგებლობა მოაქვს, ნამეტნავად ღარიბ ებრაელებისთვის, რომელთაც შეძლება არა აქვთ სხვა სასწავლებელში აღზარდონ შვილები. სასწავლებელი ანთავისუფლებს სწავლის ფულისაგან მოწაფეთა 35°/₀. ყველა ჩვენგანის ზნეობრივი მოვალეობაა, რომ, წოდებისა და ეროვნების განურჩევლად, ხელი შეუწყოს სასწავლებლის კეთილდღეობას და შეძლება მისცეს ქუთათურ ღარიბ ებრაელთ. პირველ დაწყებითი სწავლა მაინც მიიღებინონ შვილებს, რომელნიც სხვა სარწმუნოების ბავშვებთან შედარებით სწავლა-განათლების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილნი არიან.

◆ 10 აპრილიდან ქალაქის აფთიაქი გადმოტანილია ახალს საკუთარს შენობაში, ტფილისის ქუჩაზე, საკათედრო ტაძრის პირდაპირ. აფთიაქი მშვენივრადაა მოწყობილი. აფთიაქი მოთავსებულია შენობის ქვემო სართულში, ზემო სართულს კი აფთიაქის მოსამსახურეების სადგომად აკეთებენ, მაგრამ ჯერ მთლად არაა მოთავსებული.

მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება.

1 აპრილს ტხორჟევსკაიას თავმჯდომარეობით მოხდა მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების კრება. კრებამ პირველად განიხილა 1903 წლის ანგარიში. ცნობები ამ ანგარიშიდან კვირის ნომერში უკვე გვქონდა დაბეჭდილი. სხვათა შორის, საანგარიშო წელს საზოგადოების სახლით უსარგებლნია 12 შეუძლებელ წევრს, ზოგს 10 დღე და ზოგს 2 თვე. საზოგადოება თავის წევრთათვის ხშირად მართავს ლექციებს. შარშან ბევრ ლექტორს უთქვამს უარი ლექციის დაწერაზე მოუცლელობისა გამო. ლექციების გამმართველ ბიუროს განუზრახავს მოსკოვის უნივერსიტეტის სალექციო ბიუროსაგან ლექციების გამოწერა. მაგრამ, რადგან თითო ლექციისათვის სასყიდლად 15 მან. უნდა გაეგზავნა, ბიურომ უარი სთქვა და ლექციების ნაცვლად საანგარიშო წელს რამდენჯერმე სალიტერატურო საღამო გამართა. კრებამ უცვლელად დაამტკიცა ანგარიში. მერე მცირეოდენი ცვლილებით დაამტკიცა მდგომარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ დაუძლურებულ და მოხუც წევრთათვის თავშესაფარის აგების შესახებ. ამ საქმისათვის საზოგადოებას ამ ჟამად აქვს 7242 მან. საზოგადოების დადგენილებით თავშესაფარის აგებას უნდა შეუდგნენ იმ დროიდან, როცა ფონდში 10,000 მან. იქნება. გამგეობამ აცნობა კრებას, ამ ჟამად ამ საქმის შესახებ აღვძარით ლაპარაკი იმის გამო, რომ გვინდა კრებამ პრინციპიალურად მოგვანდოს ეხლავე შევუდგეთ სამზადისსაო. თავშესაფარი უნდათ მოაწყონ საბურთალოსაკენ, საზოგადოების წევრის ქ-ნ კაიდანოვის მიერ შემოწირულ ადგილზე. ზოგიერთები თხოულობდნენ, ერთს სახლში მოთავსდეს თავშესაფარი, კანტორა, სამკითხველო და ბიბლიოთეკა საზოგადოებისაო. გამგეობას შეუძლებლად მიაჩნია ამნაირად საქმის განხორციელება, რადგან თუ ამნაირად მოაწყო საქმე, მაშინ ქალაქის შუაგულში უნდა შეიძინოს ადგილი და სახლი, რისთვისაც 40,000 მანეთი არ ეყოფა. რადგანაც სამკითხველო-ბიბლიოთეკა და კანტორა ქალაქის შუაგულში უნდა იქნეს ბევრმა შეუძლებლად სცნო სამკითხველოსთან თავშესაფარის გამართვა. კამათის შემდეგ კრებამ ამ საქმის საბოლოოდ განხილვა გადასდო შემდეგ კრებისათვის. კრებამ დასასრულ ამოირჩია გამგეობის წევრებად ისევ ქ-ნნი: ა. მ. წერეთლისა, ე. მ. ვიახირევისა და დავრიშევისა. გამგეობის წევრთა კანდიდატებად იგინივე, ვინც შარშან იყვნენ. სარევიზიო კომისიის წევრებად ძველებივე დასტოვეს.

თეატრი

ბაქო. კარგა ხანია აქაური ქართველობა მოუთმენლად მოელოდა ჩვენს არტისტებს და ეხლა მოლოდინი გაგვიმართლდა. გვეწვია ქართული დრამატიული დასი და გაგვიმართა აქ ტაგიევის თეატრში ორი წარმოდგენა. პირველად 7 აპრილს დადგეს „სამშობლო" ერისთავისა. ამ წარმოდგენაში უმთავრეს როლებს ასრულებდნენ გვ. მესხიშვილი, კ. მესხი, ი. ივანიძე, ეფ. მესხი და ნ. ჩხეიძე. წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა და ხალხიც მეტად კმაყოფილი დარჩა. მეორედ წარმოადგინეს 9 აპრილს „ღალატი" სუმბათაშვილისა. ამ წარმოდგენამ უფრო დიდი ხალხი მიიზიდა. თეატრი თითქმის გაჭედილი იყო და ყველანი აღტაცებით ეგებოდნენ ჩვენს არტისტებს. სულეიმანის როლს ასრულებდა გვ. მესხიშვილი, ზეინაბისას ეფ. მესხი, ოთარბეგისას — ივანიძე, რუქაიასას ნ. ჩხეიძე, ანანია გლახის როლს კ. მესხი და სხვ. საზოგადოების აღტაცებასა და ვაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. სწორედ რომ სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა ტაგიევის თეატრი ამ საღამოს. მთელი ბაქოს ქართველობა შეკრებილიყო ერთად. ერთმა პატივცემულმა ქართველმა ორმოცდა ხუთი თუმანი მისცა ერთს ბილეთში და ამით დააჯილდოვა არტისტები.

წყალტუბელი

რუსეთის ქრონიკა

◆ გომელიდან ატყობინებენ გაზ. „პრავო"-ს, ბოლო დროს ქალაქში ხმა დაყარეს, აქაური მკვიდრი ებრაელები იაპონელებს დახმარებას უწევენო. სხვათა შორის, მეისრე გორბაჩოვი არწმუნებდა მუშებს, ადგილობრივმა ებრაელმა ვაჭარმა ლოვიანოვმა ექვსი ვაგონი სამკურნალო იარაღი გაგზავნა იაპონიაშიო. გორბაჩოვი სასამართლოში მისცეს ყალბ ხმების გავრცელებისათვის. ბრალდებული იმით იმართლებდა თავს, ეს ხმა სხვებმა გადმომცესო. მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ გორბაჩოვისაგან გავრცელებულმა ხმამ ცუდად იმოქმედა ხალხზე, აალელვა, წააქეზა ებრაელთა საწინააღმდეგოდ. ერთმა მოწმემ აჩვენა, ყური მოვკარი მუშების ლაპარაკს; ამბობდნენ, აღდგომას თავს უნდა დავესხათ ებრაელებსაო. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ებრაელ ვაჭარ ლოვიანოვს არაფერი საჭურველი არ გაუგზავნია იაპონელებისათვის. პოლიცმეისტერმა რაევსკიმ გამოაცხადა სასამართლოში, მკვიდრ ებრაელთა და ქრისტიანეთა შორის სამტრო განწყობილებაო. ცხადია, რომ ბოროტ-განზრახვით იყო გავრცელებული ეს ხმებიო. სხვათა შორის, ებრაელების მოძულეთ ხმა გაავრცელეს, ერთი ებრაელის მაღაზიაში გაძარცვეს და კინაღამ დაახრჩვეს ვიღაც ქრისტეანე ქალიო. ეს ხმაც ყალბი გამოდგაო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო გორბაჩევი და სამი კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

◆ გაზ. „რუსკ. ობოზრ."-ს მოჰყავს ერთი საინტერესო მოვლენა რუსეთის გლეხთა ცხოვრებიდან. ხერსონის გუბერნიის ერთ სოფლის გლეხებს პირი შეუკრავთ და ერთობით აუღიათ დიდი მამული, რომელიც ერთ ადგილობრივ მემამულეს ეკუთვნის. პირობის წერილიდან სჩანს, რომ გლეხებს გადაუწყვეტიათ საერთოდ იმუშაონ იჯარით აღებულ მამულში და მოსავალი თანასწორათ და სამართლიანად გაინაწილონ.

◆ ერთ ხარკოველ ნაფიც ვექილს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რათა ნება დართონ იურისტ ქალს ნაფიც ვექილის თანაშემწედ ჩაეწეროს. ქალი ტომით რუსია და განათლება საზღვარ-გარედ ჰქონია მიღებული იურიდიულ ფაკულტეტზე.

◆ ვიცე-ადმირალის მაკაროვის მეუღლესა და შვილებს პენსიად დაენიშნათ წელიწადში ოცი ათასი (20,000) მანეთი.

◆ „პეტროპავლოვსკ"-ზე მაკაროვთანა და სხვებთან ერთად დაიღუპა აგრეთვე „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი ნ. ი. კრავჩენკო.

წერილები

დ. ხონი. არ იქნა, ხონის მედილიჟნეების გაუმაძღრობას ბოლო ვერ მოეღო. მგზავრი იმათ ხელშია და სურვილისამებრ ტყავს აძრობენ. შესდგა ამხანაგობა და ბილეთის ფასიც გადაჭრით დაადგინეს. მაგრამ ამ დადგენილებას მაშინ აქვს ძალა, როდესაც წამსვლელნი ბლომად არ არიან. თუ იმათმა რიცხვმა იმატა, ბილეთის ფასიც მატულობს. ამხანაგობის დაარსებამდე დილიჟნების პატრონები ერთმანეთს მეტოქობას უწევდნენ და წამსვლელთ შეეძლოთ ეხლანდელზე იაფად ემოგზაურათ. ხონსა და ქუთაისს შუა ყოველ დღე ათამდის დილიჟანი მოძრაობს. დილიჟნები მუდამ სავსეა. ნუთუ ამოდენა ხალხი ორიოდე კაცის ლუკმა უნდა იყოს? ხმა დადის, ვითომ ვიღაც შეძლებულ ვაჭართ განუზრახავთ ამ გზაზე საავტომობილო მიმოსვლის მოწყობა. ღმერთმა ჰქნას,

---

[illegible] შეხედულებას არ ეთანხმება: თუ ხალხი საქართველოს ყველა კუთხეებში ეხლა რომელიმე არაკს მოგვითხრობს, ეს გარემოება არ ამტკიცებს იმ მოსაზრებას, ვითომც საბა ორბელიანს მეტესი ნაწილი თავის იგავ-არაკებისა ხალხიდან შეუთვისებინოს; 6) იმიტომ არ ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ხალხს საბა ორბელიანის დროს არც-კი სცოდნოდეს ეს იგავ-არაკები; ვისაც ჰსურს დაამტკიცოს, რომ საბა ორბელიანის მოთხრობები და არაკები მართლა ხალხურია, ხალხისაგან გაგონილი, იმან უპირველესად უნდა დაამტკიცოს, რომ საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის წიგნის" დაწერამდე ხალხში უკვე გავრცელებული იყვნენ ზემო აღნიშნული იგავ-არაკები. ეს-კი ჯერ არც გამორკვეულია, არც დამტკიცებული, ე. ი. საკითხი გადაწყვეტილი არ არის და პროფ. მარრი ამბობდა მხოლოდ, სასურველია ეს საკითხი გამოირკვეს და საბოლოოდ გადაწყდესო. პრ. მარრს არც როდის არ უთქვამს, ვითომც „სიბრძნე სიცრუის" ნასესხი, თარგმანი იყოს მეტ-ნაკლებობითაო" და თუ ბ. გოგებაშვილი პრ. მარრს ამ აზრს თავზე ახვევს, ამის მიზეზი ერთი და იგივე უნდა იყოს: ამ შემთხვევაში მას ან წაკითხული არ უნდა ჰქონდეს პრ. მარრის ზემო აღნიშნული 20 სტრიქონი, ან არა და განზრახ დაუმახინჯებია მარრის სიტყვები.

ყოველი პირუთვნელი მკვლევარი დაეთანხმება პრ. მარრს, რომ თუ ეხლა ხალხი მოგვითხრობს რომელსამე არაკს, ეს იმას არ ამტკიცებს, ვითომც ეს არაკი გავრცელებული ყოფილიყოს საბა ორბელიანის დროსაც.

მეორეს მხრივ ცხადია, რომ ბევრი ისეთი თქმულება და არაკი არის გავრცელებული ჩვენ ხალხში, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილია და ნამდვილ ეროვნულ თქმულებათა ჯგუფს არ ეკუთვნის. მეცნიერებამ კაი ხანია გამოარკვია, რომ მრავალი სხვა-და-სხვა ხალხთა თქმულებები, საგმირო ლექსები და არაკები, რომელნიც საუკუნოების განმავლობაში ეროვნულ, ადგილობრივ ნაწარმოებად მიაჩნდათ, უცხოეთიდან ყოფილან შემოტანილნი. მოვიყვან ორიოდე თვალსაჩინო მაგალითს: ყველას კარგად მოეხსენება, რომ ვილჰელმ ტელის თქმულება შვეიცარიის განთავისუფლების შესახებ შვეიცარიელთა ეროვნულ თქმულებად ითვლებოდა; ამ თქმულებას შვეიცარიელნი იმდენად ნამდვილ, ჭეშმარიტ და ნაციონალურ და ისტორიულ გარდმოცემათა სთვლიდნენ, რომ ვილჰელმ ტელს თავის ქვეყანაში ძეგლიც-კი აუგეს. მაგრამ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს თქმულება სრულებით ყალბია, ადგილობრივ შვეიცარიული-კი არა, არამედ ირლანდიიდან შვეიცარიაში გადმოტანილი კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი თქმულებაა (იხ. Bernheim, Lehrbuch d. histor. Mehtode, 1889 წ. გვ. 229—32 იქვეა აღნიშნული ყველა წყაროები ამ საკითხის შესახებ).

მოვიყვან მეორე მაგალითს: ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის ბალავარის, ანუ ბალაჰვარის და იოდასაფის ამბავი, ყველას გაგონილი ექმნება, რომ „სიბრძნე ბალავარისა" ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულად გადათარგმნა. ბიზანტიის ეკლესიამ ეს ბალავარი წმინდანად ჩარიცხა; მეცნიერებამ კი, რომელსაც უნდოდა გაეგო, საიდან და როგორ გავრცელდა ეს მოთხრობა, დაამტკიცა, რომ „სიბრძნე ბალავარისა" გადაკეთებული ბუდდას ცხოვრებაა და ნამდვილად ქრისტიანობასთან არავითარი კავშირი არა ჰქონია, თუმცა ეს თქმულებაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში ნამდვილ საეკლესიო გადმოცემად ითვლებოდა.

მესამე მაგალითი ინგლისს შეეხება: დიდი ხანია ბრიტანიაში საეკლესიო თქმულება გრაალის შესახებ გავრცელებული იყო, რომ ბრიტანიაში იოსებ არიმათიელმა გაავრცელა ქრისტიანობა. ამ თქმულებას ერთს დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ყველას ეჭვმიუტანელ გადმოცემად მიაჩნდა, მაგრამ ეხლა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ეს თქმულება მესოპოტამიაშია შეთხზული, ირლანდიასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა და ბრიტანიაში მხოლოდ მე-XII საუკ. შემდეგ შეთვისებული იყო ეს თხზულება და გადაკეთებული 7).

ასეთივე ბედი ეწია რუსულ თქმულებასაც ანდრია მოციქულის კიევში ქადაგების შესახებ: სასულიერო აკადემიის პროფ. გოლუბინსკიმ დაამტკიცა, რომ ეს თქმულება საეჭვო და დასაჯერებელი არ არის 8).

ზემო მოყვანილ მაგალითებიდან მკითხველი ცხადად დაინახავდა, რამდენად ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ რომელი თქმულება და ამბავი ნამდვილადაა ეროვნული, ადგილობრივი, რომელი კიდევ უცხოეთიდან შემოტანილი,—რომ ამის გამორკვევა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. არც ერთი განათლებული ქვეყანა არ არსებობს დედამიწის ზურგზე, სადაც მეცნიერებს არ დაემტკიცებინოთ, რომ ბევრი ერთ დროს ეროვნულ და ადგილობრივ თქმულებებად აღიარებული არაკები და საგმირო ლექსები უცხოელებისაგან არიან შეთვისებულნი. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ზოგიერთ, ან იქნებ ბევრს იგავ-არაკებს, რომელნიც საბას თავის თხზულებაში შეუტანია, იგივე ბედი ეწიოს მხოლოდ, ეჭვა თუ არა, ეს ჯერ გამორკვეული არ არის და პრ. მარრი სწერდა, საჭიროა ეს საკითხი გადაწყვეტილი იქმნასო. დიახაც რომ საჭიროა გამოირკვეს, რა არის ნამდვილი ქართული და რაა შემოტანილი უცხოეთიდან. ამგვარ გამოკვლევას რომ შესდგომოდნენ, აქამდისინ უკვე შესწავლილი იქნებოდა ისეთი ნამდვილი ეროვნული თქმულებები, როგორც ამირანის თქმულებაა, აგრეთვე მრავალი კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი ზნე ჩვეულებანი და საგმირო ლექსები.

ივ. ჯავახიშვილი

---

6) აი თვით პრ. მარრის სიტყვები: „Существующее пока мнѣніе, будто если не всѣ, то значительная часть басенъ, сказокъ, анекдотовъ, вошедшихъ въ Мірскую Мудрость заимствована изъ устъ Грузинскаго народа" (Ал. Цагарели, ор. с. стр. XI) еще не можетъ считаться окончательнымъ: фактъ распространенія ихъ теперь „во всѣхъ закоулкахъ Грузіи" самъ по себѣ ничего еще не доказываетъ". (Сборники притчъ Вардана, ч. I, 516, пр. 2).

7) „Въ основѣ первой части Grand saint Graal лежитъ какая-нибудь мѣстная легенда о Іудейско-христіанской діаспорѣ въ сѣверной Месопотаміи; легенда сирійская... около 1135 г. у Вельгельма Мальмеберийскаго, и уже въ его источникѣ показывается неясное извѣстіе объ Іосифѣ, другѣ ат. Филиппа, но уже какъ о проповѣдникѣ христіанства въ Британіи". (А Веселовскій, Извѣстія отдѣл. Русскаго языка и слов. Импер. Академіи наукъ, 1900 г. томъ V, стр. 448).

8) „Древнимъ временамъ и древнимъ людямъ извинительно было создавать легенды; но на насъ въ свою очередь лежитъ обязанность отличать легенды отъ настоящей исторической истины... Сказаніе объ апостолѣ Андреѣ говоритъ, что онъ былъ въ Россіи потому, что хотѣлъ черезъ нее пройти изъ Греціи въ Римъ: ясно, что сказаніе есть вовсе неудачный вымиселъ, ибо оно заставляетъ апостола итти путемъ, который нетолько 50 разъ длиннѣе обыкновеннаго, но который въ его время просто былъ совершенно неизвѣстенъ... Нельзя и совершенно невѣрятно допустить, чтобы тѣлесно посетилъ нашу страну одинъ изъ апостоловъ". (Пр. Голубинскій, Исторія рус. церкви, томъ I, стр. 9—10, 1880 г.).

რომ გამართლებულიყოს ეს ხმა. ხონელები ციდან მოვლენილ მანანასავით ელოდებიან ასეთ რამეს.

ტეხურის-პირელი

—

სოფ. ხიმში (რაჭა). წინა ზამთრის შესახებ თუ უთქვამს რაჭველს საყვედური, არც წრევანდელ ზამთარს მოიხსენებს აქაური ხალხი კარგად. წელს თუმცა დიდი თოვლი არ მოსულა, მაგრამ მარტი დადგა თუ არა, მიშინვე დაიწყო ჭინჭყლი. ღამე მშვენივრად მოკრიალებული ცა დილით ღრუბლებით იმოსება და მთელი დღე, მთელი კვირა სულ სწვიმს და სთოვს. ერთის სიტყვით, ძალიან შეუშალა ხელი მუშაობაში რაჭველს ამ გამუდმებულმა ცუდმა ტაროსმა. რაც მოასწრო გლეხმა აღდგომამდე, დათოხნა ვენახები და დასთესა სიმინდი, მაგრამ ეხლანდელ ნათეს სიმინდის ამოსვლის იმედი აღარავისა აქვს. ამბობენ: სიმინდი თოვლ-ჭყაპის ქვეშ გაცივდება, გული დაულპება და აღარ ამოვაო. უბედურება ის იქმნება, თუ დამუშავებული მიწები ისევ ხელ ახლად დასამუშავებლად გახდა. დაგვიანდა ხვნაც. ჩვენებური გლეხი მაისის გასვლამდე თუ გაათავებს მთებში სიმინდის თესვას. ასე გვიან ნათესს კი ხშირად მოუმწიფებელს თოვლი უსწრებს შემოდგომაზე და მუშა რჩება ჭირნახულიდან ხელ-ცარიელი. სოფ. ხიმში ერთად-ერთი პატარა სოფელია მთელ რაჭის მაზრაში. ამ სოფელში ცხოვრობს სამოც კომლამდე გლეხი და აზნაური. ამ პატარა სოფლის მკვიდრნი ძალიან შეწუხებულნი ვართ. არა გვაქვს გზა, არა გვაქვს კვალი. უგზოობის გამო წისქვილზე საფქვავი ვერ მიგვიტანია; დღესასწაულების დროს ეკლესიაზე ვერ მივსულვართ. აღდგომის კვირას ერთი პატარძალი წირვაზე წავიდა, გადავარდა იქვე ხევში და ცოცხალ-მკვდარი ძლივს მოაბრუნეს. წასულ წელს არა გვქონდა მოსვენება ყაჩაღებისაგან. ხან ნაქერალას მთაზედ სძარცვავდნენ მგზავრებს და ხან შქმერის მთაზედ. წელსაც იჩინეს თავი ავაზაკებმა: შქმერის მთაზედ აღდგომის კვირაში ორი შეიარაღებული კაცი დახვედრია სახლში მომავალ რაჭველებს და ოცდა-ათ თუმნამდე წაურთმევიათ.

ვ. ჭიჭინაძე

—

დუშეთი. ამ თვის ხუთს მოხდა ქალაქის რწმუნებულთა კრება, რომელზედაც განიხილეს: 1. წინადადება დუშეთის მაზრის უფროსისა მდინარე დუშეთულაზე ხიდის გადებისა; 2. წინადადება ტფილისის გუბერნატორისა იმის შესახებ, რომ დახმარება აღმოეჩინოთ ჯარში გაყვანილ და გასაყვან ჯარის-კაცთა ოჯახებს და 3, დუშეთის ყასბების განცხადება. ხიდის გადება ქალაქის რწმუნებულთ საჭიროდ არ დაუნახავთ, რადგან ქალაქს იმ გზის ხაცვლად, რომელიც ამ ხიდზე გაივლის, აქვს საქართველოს სამხედრო შოსსე'ს გზა. ტფილისის გუბერნატორის წინადადებაზედაც იმ აზრს დაადგნენ, რომ ქალაქი ამნაირ ჯარის კაცთა ოჯახებს, გარდა ბინისა და განათებისა, სხვას ვერაფერს ვერ მისცემს ფულის უქონლობისა გამოო. ყასბების თხოვნა ნიხრის მომატების თაობაზე რწმუნებულთ შეიწყნარეს. პირველი ხარისხის ძროხის ხორცი გახადეს 11 კაპ., სუკი—13 კ., კამეჩისა—7 კ., ცხვრისა—12 კ., თხისა—9 კ., ღორისა—12 კ. და დუმა—15 კ. დასასრულ სარევიზიო კომისია აირჩიეს წარსულ წლის ანგარიშის სარევიზიოდ. კომისიაში შევიდნენ: გ. ა. კორინთელი, ა. მ. მარტიროზოვი, თ. დ. გოგიევი და გ. ი. აპრიამოვი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენის გაზეთის საშუალებით მივმართო იმ ქართველთ, რომელთაც ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში უსწავლიათ და თან გაჰყოლიათ ამხანაგების ვალი, უმორჩილესის თხოვნით, დააბრუნონ მათზე დარჩენილი ფული, ნაწილ-ნაწილ მაინც, თუ გინდ თითო-ოროლა მანეთობითაც ყოველ-თვიურად. თითოეული იმათგანი ახლა ასე თუ ისე უზრუნველყოფილია ცხოვრებაში და ჩვენი ქართველი სტუდენტები-კი აქ, პეტერბურგში, უფრო, ვიდრე სხვა ქალაქებში, გაჭირვებული არიან უსახსრობის გამო და მხოლოდ ეს აუტანელი მდგომარეობა გვაიძულებს შევაწუხოთ ჩვენი თხოვნით უფროსი ამხანაგები. იმათ, ვისი ადრესებიც ვიცით, პირადად მივმართავთ წერილებით, ისინი კი, ვისაც ადრესების უცოდინარობის გამო წერილს ვერ გავუგზავნით, ვიმედოვნებთ, უყურადღებოდ არ დასტოვებენ ჩვენს თხოვნას. უმორჩილესათ ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ამხანაგობის მონდობილობით სტუდენტი

ალ. მიქელაძე

P. S. ფული უნდა გაეგზავნოს ან სამსონ ფირცხალავას (тифлисъ, Канцелярія Общества распространенія грамотности), ან პეტერბურგს ამ ადრესით: Спб.-ургъ, фонтанка, 91, кварт. Квіатковскаго, для передачи студ. Андр. Георгiев. Бебуришвили.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აპრილი

პორტ-არტური. „ყოველ სიმართლეს მოკლებულია „მორნინგ პოსტ“-ის მიერ გავრცელებული ცნობები, ვითომ იაპონელები მდინარე იალუზე გადასულიყვნენ. გენერალ-მაიორი ფლუგი“.

პორტ არტური, 11 აპრილი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 9 აპრილს პორტ-არტურის პირდაპირ ჩვენებმა შეაჩერეს გემი, რომელიც „დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტებისა აღმოჩნდა. გემი მაშინვე შორს ზღვაში გაიყვანეს. პორტ-არტურსა და იმის მიდამოებში სიწყნარეა.

სევასტოპოლი. ფლოტის გასაძლიერებლად დღეს გაიმართა საგანგებო კონცერტი. კონცერტი გამართა ვიცე-ადმირალის სკრიდლოვის მეუღლემ, რომელიც თვითაც იღებდა მონაწილეობას.

პორტ-არტური. პორტ-არტურში განსაცვიფრებელი მყუდროება სუფევს. მაკაროვის მთელი შტაბის და ჯავშნიან გემის „პეტროპავლოვსკის“ დაღუპვამ ოდნავადაც ვერ შეარყია საზოგადო რწმენა, რომ პორტ-არტური მიუვალი ადგილია. ორ უკანასკნელ თვის განმავლობაში ისე საუცხოოდ გაამაგრეს იგი, რომ როგორც ზღვიდან, აგრეთვე ხმელეთიდან სრულებით მიუდგომლად გახადეს. სუსტად გამაგრებული ადგილები შეაიარაღეს. მეციხოვნეთა რიცხვი უმაღლეს ხარისხამდის აიყვანეს. ციხე უზრუნველ ყოფილია სურსათითა და საომარ იარაღით, რომელნიც ერთ წელიწადზე მეტს ეყოფა. დღისით პორტ არტური სრულებით არ მოგაგონებთ ალყა-შემოკრულ ქალაქს: ბულვარში მუსიკა უკრავს, ხალხი სეირნობს და ბავშვევი ცელქობენ. მაღაზიებსა და რესტორანებში წინანდებურად ვაჭრობაა გამართული; ღამე პორტ-არტური წყვდიადით არის მოცული და ელექტრონის პროჟექტორებით განათებული რეიდი მოგაგონებთ, რომ ქალაქი საომარ მდგომარეობაში იმყოფება. თუმცა იაპონიის ესკადრამ რამდენჯერმე მიიტანა იერიში პორტ-არტურზე, ქალაქი და ციხე სრულებით არ არიან დაზიანებულნი. დანგრეულია მხოლოდ ჩინელთა რამოდენიმე ძველი ქოხი. პორტ-არტურში შესავალი სრულებით თავისუფალია. შენიშნულია, რომ იაპონელები ყოველ ორ კვირის შემდეგ იერიშით მიდიან ქალაქზე, რასაც წინასწარმეტყველებენ ხოლმე ჩინელები, რომელთაც იაპონელებისაგან მოსდით ცნობები; ამას გარდა იერიშის გამართვამდე გამოჩნდებიან ხოლმე გემები ინგლისელ კორესპონდენტებით. ყოველ ახალ იერიშის დროს იაპონელები სულ უფრო და უფრო გაუბედავად ისვრიან ყუმბარებს და ზღვაში იმ სიშორეზე დგებიან, რომ ჩვენი ბატარეების ყუმბარები არ სწვდებიან. უკანასკნელ ბრძოლის დროს 2 აპრილს სერიოზულად დაზიანდა „ნისინი“ ან „კასუგა“, მეორე კრეისერი კი დაიღუპა ზღვაში. იაპონელები თავიანთ ზარალს დაჟინებით მალავენ. ბოლონდელის ცნობებით, იაპონელები უკანასკნელ ღონეს ხმარობენ საომრად. ფული ეხლავე ელევათ, რუსეთს კი ჯერ არ გაულაშქრნია მათ წინააღმდეგ.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

12 აპრილი

ტოკიო. გაზეთ „ცენტრალ ნიუს“-ს ვლადივოსტოკიდან ატყობინებენ, რომ ნავთსადგური ყინულისაგან გაიწმინდაო. რუსეთის ესკადრა ნავთ-სადგურშია.

პორტ-არტური. აქ სიწყნარეა. ცვლილება არა მომხდარა-რა. სიცხეები დგება.

ბერლინი. საზღვაო სამინისტროს გაზეთი სწერს, რომ შემცდარია ფრანგ მეზღვაურთა აზრი, ვითომ ზღვის ბრძოლაში მნიშვნელობა მხოლოდ პატარა გემებსა ჰქონდეთ. თუმცა რუსის გემები სანაღმო საქმის სამსახურში მაღლა დგანან, მაგრამ დღემდე ვერაფერი გაჰკეთეს, იმიტომ რომ იაპონელებს დიდ შემწეობასა და დახმარებას უწევენ ჯავშნიანი გემები.

12 აპრილი

ლონდონი. იაპონიის ჯარი დიდ მოძრაობაშია. ამ მოკლე ხანში სერიოზულ შეტაკებას მოელიან ხმელეთზე.

გაზ. „დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ სეულიდან, რომ იაპონელნი ერთბაშად დაიძვრიან სამ ადგილიდან. 50 ათასი კაცი გაემართება იჩჟუდან და გაივლის მდინარე იალუს; მეორე ჯარს გადასხამენ პორტ-არტურის ორსავ მხარეს; მესამეს—დაგუშანში ან იმის მახლობლად. იაპონელნი ამ კვირის განმავლობაში მოელიან შეტაკებას ზემოხსენებულ სამ ადგილას.

გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ის სიტყვით, იაპონელთა ჯარები მიდიან პოსიეტის სრუტესაკენ. იაპონელთა მეორე ჯარს ამ მოკლე ხანში გემებზე დასხამენ და იონამპოს მახლობლად გაგზავნიან.

გაზ. „მორნინგ პოსტ“-ს ტელეგრაფით ატყობინებენ შანხაიდან: კორეელმა მზვერავებმა შეატყობინეს რუსებს, რომ იაპონელთა ტრანსპორტები, 30 ათას კაცისაგან შემდგარ ჯარით, ჩრდილოეთისკენ მიდიან და თან საომარი გემები ახლავთო.

ტოკიოდან მოსულ ცნობებით, ჩინეთის მთავრობამ უბრძანა გენერალ მას გაგზავნოს 2500 კაცისაგან შემდგარი ჯარი მდინარე ლიაოხეს დასავლეთ ნაპირებისაკენ. ფიქრობენ, რომ ამ განკარგულებას შეუძლია ჩინელთა და რუსთა შორის შეტაკება გამოიწვიოს.

ინკოუდან იუწყებიან, რომ კორეელნი მზვერავნი ცნობებს აწვდიან რუსებს იაპონელების ყველა მოძრაობათა შესახებაო.

გაზ. „სტანდარტ“-ს ტელეგრაფით ატყობინებენ ჩიფუდან, რომ იაპონიის მთავრობამ პროტესტი გამოაცხადა პეკინში რუსებისაგან ლიაოხეს მიდამოთა დაკავების წინააღმდეგ, აცხადებს, რომ სანეიტრალო ადგილებად არ ჩასთვლის ნიუჩჟუანისა და სინ-ჩოუფუს შორის მდებარე ადგილებს.

ხარბინში სიკვდილით დასჯილ იაპონელ აფიცრების სახელები ვერ იცნეს იაპონიაში.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აპრილი

რომი. პრეზიდენტი ლუბე მივიდა რომში, სადაც მიეგებნენ მეფე, ტურინის გრაფი და გენუის ჰერცოგი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მემამულეთა საყურადღებოდ!

კურს დამთავრებული პირველის ხარისხით წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლაში ეძებს ადგილს, მებოსტნეობის, მებაღეობის, მეფუტკრეობის, მევენახობისა და სხვ. მსურველთ მიმართონ. „ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. (დვორცოვი ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა № 101). (1—1)

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილია 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—18)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენიან და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად წიგნის ყველა მაღაზიას ახალი წიგნი

„მელიას თავ-გადასავალი“

საყმაწვილო ზღაპარი გადმოკ. ალ. ნათაძის მიერ

ფასი 25 კაპ.

საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება „ჩვენს დედებს“ იმავე ავტორის პედაგ. წერილები. (2—უ—2)

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ივ. ინაშვილი

მიიღებს შიგნეულით, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ დღისით 1—2 ს. და საღამოთი 5—8 ს.-მდე. ალექსეევის ქუჩა № 7. მიხაილოვის ქუჩის დასაწყისი. (10—125—5)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

რკინეული **სომატოზა**

ადამიანის სხეულს **სიმძიმესა და ძალას უმატებს.**

ისყიდება იმპერიის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში

☞ ლიტერატურა და ბროშიურები მსურველთ უფასოდ ეგზავნება ფრიდრ. ბაიერისაგან და ამხ., მოსკოვიდანა და პეტერბურგიდან ☜

(მც. VII, ნ. 1—1)



საათის საწყობი

იულიუს გენესი

ტფილისი, დვარცოვი ქუჩა.

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა. ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათი ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკისრულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფად და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—2)

ტელეფონი № 978. ტელეფონი № 978.

სამოდო-სამანუფაქტურო მაღაზია

„მოდერნ“

ტფილისი, გოლოვინსკი პროსპექტი, სახლი სტეფანოვისა, 16.

მუდამ შეიძლება აარჩიოთ პერვგვარი საქონელი **რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა:** **შალისა** და **აბრეშუმისა** და **ბამბეულის ყოველგვარი ქსოვილები,** აგრეთვე სუფრის თეთრეული აბრეშუმის იუბკები და კოფთები, პლიუშის სტოლის საფრები, ხავერდის ხალიჩები და სხვა. ფასები გადაჭრილია, ისყიდება შეუვაჭრებლად. (4—3)

Доз. ценз. Тифлисъ 1[illegible] [illegible]рѣля 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნის გამომც. ქა ამხ—ის. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)